

აკრედიტაციის პრინციპები – ზოგადმეთოდოლოგიური ხასიათის დებულება, საფუძვლად ედება აკრედიტაციის პროცედურას და გარკვეულ მიმართულებას აძლევს მას. აკრედიტაციის პრინციპებზეა დამოკიდებული აკრედიტაციის მექანიზმთა რაგვარობა, პროცედურის სანდოობა და საზოგადოებრივი აღიარების ხარისხი. 1993 წელს ეკონომიკური თანამშრობლობის საბჭოს ექსპერტებმა და ლაურაზიანის (საფრანგეთი) ინსტიტუტმა ევროსაბჭოს ეგიდით გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაზე ეს პრობლემა სადისკუსიოდ გამოიტანეს. ევროპის ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე დაადგენილია უმაღლესი განათლების ინსტიტუტებისა და პროგრამების აკრედიტაციის შემდეგი პრინციპები: აკრედიტაცია ნებაყოფლობითი პროცედურაა, აკრედიტაცია გამჭვირვალე პროცედურაა, აკრედიტაცია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი პროცედურაა, აკრედიტაცია ობიექტური შეფასების სისტემაა, პასუხისმგებლობის დანაწილება აკრედიტაციის აუცილებელი მოთხოვნაა, აკრედიტაცია მხარს უჭერს უმაღლესი სკოლის ფართო ავტონომიასა და აკადემიურ თავისუფლებას, აკრედიტაცია ხელს უწყობს უმაღლეს სასწავლებელს თავისი ეროვნული და ინდივიდუალური სახის წარმოჩენაში, აკრედიტაცია თანაბარ მოთხოვნებს უყენებს სახელმწიფო და კერძო სკოლას და სხვ. პრინციპების აღნიშნული ჩამონათვალი ცხადყოფს, რომ აკრედიტაციის სფეროს ჩვენი

კანონმდებლობა (საქართველოს უმაღლესი განათლების კანონი, 2004) და პრაქტიკა, რიგ შემთხვევებში შორდება აკრედიტაციის საერთაშორისო ნორმებს.

აკრედიტაცია | გამჭვირვალე პროცედურაა. იგი გულისხმობს ზუსტი და დეტალური ინფორმაციის, შედარებისა და გაცვლის აუცილებლობას. აკრედიტაციის პრაქტიკაში გამჭვირვალობის პრინციპის დაცვა ნიშნავს ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების მუდმივ მზადყოფნას ექსტერნული შემოწმებისა და განხილვისათვის. სტუდენტებისთვის, ფაკულტეტის წევრებისთვის, ისევე როგორც ამ სისტემის გარეთ მდგომი ადამიანებისთვის, მისაწვდომი უნდა იყოს ყოველგვარი ინფორმაცია უმაღლეს სკოლაში სწავლა/ სწავლების პროცესის, შინაარსის, სტუდენტთა ცოდნის მონიტორინგისა და შეფასების, დაფინანსების წყაროებისა და სხვათა შესახებ.

ინფორმაციის შედარება – აკრედიტაციის პროცედურა ინფორმაციის შედარებას ახდენს არა მარტო ქვეყნებს შორის, არამედ ყველა დონეზე – ინსტიტუტის შიგნით ერთი კათედრის შესახებ ინფორმაციას ადარებენ მეორე კათედრის შესახებ ინფორმაციას, ერთი ფაკულტეტის რეიტინგს – მეორე ფაკულტეტის რეიტინგს და ა.შ. ინსტიტუტეს გარეთ: ინსტიტუტის რეიტინგის შესახებ ინფორმაციას ადარებენ მეორე ინსტიტუტის რეიტინგს, ფაკულტეტის რეიტინგს – სხვა ინსტიტუტის მონათესავე ფაკულტეტის რეიტინგს და ა.შ. ამგვარი შედარებები საშუალებას აძლევს უმაღლესი განათლების ინსტიტუტებს, მათს ყოველ სტრუქტურულ ქვედანაყოფს ზუსტად განსაზღვრონ თავიანთი მუშაობის ხარისხი როგორც ეროვნულ, ასევე მსოფლიო საგანმანათლებლო სტანდარტებთან მიმართებაში.

გაცვლა | განათლების სფეროში მოქალაქეთა მზარდი მობილურობის დასაკმაყოფილებლად – აკრედიტაციის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. იგი ხელს უწყობს მობილურობის განვი-თარებას. ამ უკანასკნელს არ უნდა შეექმნას დაბრკოლება არა მარტო ქვეყნებს შორის, არამედ ერთი ქვეყნის შიგნითაც. მოძრაობა როგორც სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ასევე სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის განვითარების ერთერთი წყაროა. მობილურობა საშუალებას მოგვცემს სწრაფი რეაქცია მოვახდინოთ ბაზრის მოთხოვნებზე და კონკურენტუნარიანი გავხადოთ ქვეყნის უმაღლესი სკოლა.

აკრედიტაცია ნებაყოფლობითი პროცედურაა – ყოველგვარი ძალდატანება, ზემოქმედება სასწავლებელზე აკრედიტაციის გავლასთან დაკავშირებით, მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, დაუშვებელია. ისტორიულად, აკრედიტაცია მუდამ ნებაყოფლობით პროცედურად ითვლებოდა. აკრედიტაციის სამშობლოში – შვერთებულ შტატებში, ტრადიციულად, არასდროს არც ერთი შტატის მთავრობა სასწავლებელს არ აიძულებდა საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ გაეკლო აკრედიტაცია. ამის მიუხედავად, წამყვანი ქვეყნების თითქმის ყველა ცნობილი სასწავლებელი გადის აკრედიტაციას, ვინაიდან იგი, ერთი მხრივ, თვალსაჩინოს ხდის სასწავლო კურსებისა თუ პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხსა და განხორციელების დონეს, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობს სასწავლებლის ცალკეული სტრუქტურების ჰარმონიულ და რიტმულ მუშაობას. აღმასრულებელ ხელისუფლებას აქვს მექანიზმები, თუნდაც ლიცენზირება, რომლის მეშვეობითაც შეუძლია სავალდებულო წესით მოითხოვოს დადგენილი საგანმანათლებლო სტანდარტების რეალიზაცია, მაგრამ აკრედიტაციის იძულებითი წესით ჩატარება დაუშვებელია – აკრედიტაცია ნებაყოფლობითი საერთაშორისო ნორმაა. ეს ნორმა, როგორც ცნობილია, ჩვენში დარღვეულია..

აკრედიტაცია თანაბარ მოთხოვნებს უყენებს სახელმწიფო და კერძო სკოლებს საერთაშორისო ნორმების მიხედვით, ხარისხის შეფასების კრიტერიუმები სახელმწიფო და კერძო სკოლებისთვის საერთოა. ყოველი სასწავლებელი ფასდება იმის მიხედვით, თუ როგორ ახორციელებს ეროვნულ საგანმანათლებლო სტანდარტს, წლების განმავლობაში რამდენად აუმჯობესებდა ამ უკანასკნელს საერთაშორისო დონემდე, როგორ იყენებდა თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორ იზიდავდა პრაქტიკოსთა თუ მეცნიერთა მაღალკვალიფიციურ კადრებს, როგორ იცავდა სოციალურად პროფესორმასწავლებლებსა და სტუდენტებს და ა. შ.